



კურასიო
საერთაშორისო
ფონდი

25 წელი უკეთესი ჯანდაცვის სისტემებისთვის



მანდატორული ვაქცინაცია და მწვანე საშვები

საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

03 დეკემბერი, 2021

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ავტორთა ჯგუფის მიერ ივდიითი ჩიქოვანი, ალისა წულაძე, ნია ხაჩიძე პროექტის მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის და პრაქტიკის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელსაც საერთაშორისო ფონდი კურაციო ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტის მტკიცებულებები პოლიტიკისთვის ცენტრთან ერთად ახორციელებს.

ავტორთა ჯგუფი მადლობა უხდის აკაკი ზოიძეს და გიორგი გოცაძეს დოკუმენტის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

სარჩევი


შესავალი	1
მეთოდოლოგია.....	3
განმარტება	3
ძიება	3
სამართლებრივი საფუძვლები.....	4
მიგნებები	5
მანდატორული ვაქცინაცია.....	5
მწვანე საშიშროება.....	7
ომიკრონთან დაკავშირებული ცვლილებები რეგულაციებში	11
ქვეყნის მაგალითები	12
იტალია.....	12
ისრაელი	13
კანადა.....	14
უკრაინა	15
შეჯამება	17
რეკომენდაციები.....	20
ბიბლიოგრაფია.....	22
დანართები.....	28
გრაფიკები	35

შესავალი

კოვიდვაქცინაციის პროცესი მსოფლიოში 2020 წლის ბოლოს დაიწყო და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტემპით გრძელდება(1). 2021 წ. 25 ნოემბრის მონაცემებით, მსოფლიოში 8 მილიარდი დოზა ვაქცინა არის გაკეთებული, სრულად კი მსოფლიო მოსახლეობის 29% არის აცრილი (2).

საქართველოში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 2021 წლის 15 მარტს დაიწყო. COVID-19-ის საწინააღმდეგო აცრებით საჭირო მოცვის სამიზნე მაჩვენებლად მოზრდილი მოსახლეობის 60% განისაზღვრა, რასაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს 2021 წლის ბოლომდე (3). დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 25 ნოემბრის მონაცემებით, სრულად აცრილია მოზრდილი მოსახლეობის 34.6% (მთლიანი მოსახლეობის 26.5%). საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება როგორც ეროვნული გეგმით განსაზღვრულ დონეს, ასევე, იმავე ეკონომიკურ ჯგუფში შემავალი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს და უახლოვდება ქვედა-საშუალო შემოსავლის ქვეყნების აცრის მაჩვენებელს¹ (იხ. სურათი 1).

სურათი 1. COVID-19 საწინააღმდეგო ვაქცინით სრულად აცრილი მთლიანი მოსახლეობის პროპორცია



ქვეყნებში, სადაც ვაქცინაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები მოხსნილია ვაქცინის მიმართ რეზისტენტობა არასახარბიელო მოცვის წამყვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს(4). საქართველოში ჩატარებული კვლევის თანახმად არავაქცინირებული მოსახლეობის ერთი მესამედი რეზისტენტულია ვაქცინის გაკეთების მიმართ და ეს მაჩვენებელი უცვლელია 2021 წლის მარტი - აგვისტოს პერიოდში (5). იგივე კვლევა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მხოლოდ 12% წარმოადგენს ე.წ. უარმყოფელებს, რომელთაც აქვთ ვაქცინაციის დაბალი მიმდებლობა,

¹ საქართველო მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით ზედა-საშუალო შემოსავლის ქვეყნებს მიეკუთვნება

ისევე როგორც კორონავირუსის საფრთხეების დაბალი აღქმა. მოსახლეობის 22% აქვს ვაქცინის გაკეთების სუსტი განზრახვა და აწუხებთ ვაქცინის ეფექტურობა, ხოლო 33%, რომელსაც ასევე ვაქცინის გაკეთების სუსტი განზრახვა აქვს, გულგრილია საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ, ეს ადამიანები უპირატესად ქალაქის მაცხოვრებლები არიან და მიეკუთვნებიან საშუალო ასაკობრივ ჯგუფს.

ვაქცინაციის ტემპის გასაზრდელად ქვეყნების მიერ სხვადასხვა სტრატეგიები გამოიყენება, ხელმისაწვდომობაზე ბარიერების მოხსნის შემდეგ ეს არის თემზე მიმართული აქტივობები, მიზნობრივი საკომუნიკაციო ღონისძიებები ცალკეულ ჯგუფებთან. ბევრმა ქვეყანამ დამატებით წამახალისებელ და/ან შემზღვევად ღონისძიებებს მიმართა (6). საქართველო წამახალისებელ ინტერვენციასთან ერთად, შემზღვევადი ღონისძიებებიც შემოიღო. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 8 ნომბრის გადაწყვეტილებით 2021 წ. 1 დეკემბრიდან ძალაში შევიდა „მწვანე პასპორტი“. მწვანე სტატუსი მოქალაქეს ენიჭება, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი. „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა მოქმედებს 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის და ვრცელდება მხოლოდ მომხმარებლებზე კვების ობიექტებში, რესტორნებში, კაფეებისა და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, სპა-ცენტრებში, ფიტნეს-დარბაზებში, სასტუმროებში და სამთო კურორტების - საბაგრო გზებზე (7).

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს იმ ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვას, რომლებმაც დანერგეს მანდატორული ვაქცინაცია ან/და მწვანე პასპორტები ვაქცინაციის პროცესის გააქტიურების და სასურველი მოცვის მაჩვენებლის მიღწევის მიზნით. ჩვენი მიზანია, ასევე, განვიხილოთ ეს ორი ინტერვენცია, როგორც ვაქცინაციის მოცვის შემდგომი გაზრდის პოტენციური საშუალება საქართველოში.

მეთოდოლოგია

განმარტება

მანდატორული (სავალდებულო) ვაქცინაცია განისაზღვრა, როგორც ნორმატიული აქტით დადგენილი/განსაზღვრული სავალდებულო ვაქცინაცია პროფესიულ საქმიანობაში, რომლის გარეშეც საქმიანობის დაწყება ან გაგრძელება არის შეზღუდული და/ან სანქცირებული.

მწვანე საშვი (პასპორტი) წარმოადგენს ვაქცინაციის, ან მასთან გათანაბრებული მდგომარეობის დამადასტურებელ საბუთს, რის გარეშეც შეზღუდულია კონკრეტული მომსახურებით სარგებლობა. მწვანე საშვის მქონე ადამიანი განისაზღვრება, როგორც COVID-19 ინფექციის გავრცელების დაბალი რისკის მქონე პირი (8).

ძიება

შემუშავებულ იქნა ჩარჩო, რომლის მიხედვით განხორციელდა შემდეგი ინფორმაციის ძიება ქვეყნების მიხედვით: რეგულაციის პირობები, გავრცელების სფერო, რეგულაციის შემოღების საფუძვლები, რა ინტერვენციები უძღოდა წინ რეგულაციის შემოღებას, მტკიცებულებები რეგულაციის შემოღებისთვის, გამოცხადების თარიღი, ძალაში შესვლის თარიღი, დადებითი შედეგი, (შესაძლო) უარყოფითი შედეგი, მ.შ. მწვანე საშვთან მიმართებაში გავლენა ეკონომიკაზე, რეგულაციის აღსრულება.

ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლების გრაფები ამოღებულ იქნა პლატფორმიდან Our World in Data (9), სადაც დატანილ იქნა მნიშვნელოვანი თარიღები ვაქცინაციის დინამიკაზე გავლენაზე სამსჯელოდ.

დოკუმენტისთვის ინფორმაციის მოძიება განხორციელდა Google პლატფორმაზე 2021 წლის 25 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში. მანდატორული ვაქცინაციის მიმოხილვისთვის ძიების შედეგად და სანდო წყაროების გადარჩევის საფუძველზე ინფორმაცია შეგროვდა 13 ქვეყანაზე. აღნიშნულ ქვეყნებს მიეკუთვნება ახალი ზელანდია, კანადა, იტალია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი, საბერძნეთი, ავსტრალია, კოსტა-რიკა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა. ლიტერატურის წყაროებად გამოყენებული იქნა მედია წყაროები (Reuters, CNN) და სამთავრობო ვებ-გვერდები, და სამეცნიერო ნაშრომების საძიებელი - Pubmed, Nature და სხვა.

მწვანე საშვის რეგულაციაზე შეირჩა 15 სხვადასხვა ეკონომიკური შემოსავლის მქონე ქვეყანა (უელსი, შოტლანდია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, დანია, შვეიცარია, ჩინეთი, აშშ, ისრაელი, ბრაზილია, ყაზახეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი), სადაც გარკვეულ დონეზე დანერგილია სავალდებულო მწვანე საშვი. ლიტერატურის წყაროებად გამოყენებული იქნა როგორც სამეცნიერო ნაშრომები, ასევე, სამთავრობო ანგარიშები და მედია.

მრავალი ქვეყნის შემთხვევაში ვერ მოხერხდა კონკრეტული მტკიცებულებების ამსახველი დოკუმენტის (კვლევის) მოძიება, რომელზე დაყრდნობითაც ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება სავალდებულო ვაქცინაციის და/ან მწვანე საშვის რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით. მოძიებულ იქნა მხოლოდ ერთი კვლევა, რომელიც აღწერს მწვანე საშვის დანერგვის შედეგებს.

ომიკრონ შტამის² გავრცელების შემდეგ დამატებით ჩატარდა მოძიებული ინფორმაციის სწრაფი გადახედვა, რათა აგვესახა ქვეყნების მიერ რეგულაციებში შეტანილი ცვლილებები.

სამართლებრივი საფუძვლები

სავალდებულო ვაქცინაცია (თუ არ არის სამედიცინო უკუჩვენება) მხარდაჭერილია ინგლისის და აშშ-ს უმაღლესი სასამართლოების მიერ, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის გამომხატველი ზომა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან (ყვავილის ეპიდემიების დროიდან). ევროპის რიგ ქვეყნებში (მაგ. საფრანგეთი, იტალია, ჩეხეთი) სავალდებულო ვაქცინაცია დანერგულია ბავშვთა გეგმიურ ვაქცინაციასთან მიმართებაში (10). საქართველოში, მანდატორული ვაქცინაცია 2019 წლიდან ბავშვთა და პროფესიული ჯგუფებს ეხება (11).

2021 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო რამდენიმე განაცხადი სავალდებულო კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შეჩერების შესახებ, თუმცა სასამართლომ ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ჭრილში ამ საკითხის შეფასებისას, მხედველობაში იღებს თანამედროვე მედიცინის მიდგომას, რომლის თანახმადაც, აცრა გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ხელმისაწვდომი მეთოდებიდან ყველაზე ეფექტური და უსაფრთხოა და გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდის/საზოგადოების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის პერპექტივიდან. ამასთან, ევროპული სასამართლო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს სახელმწიფოებს, რომ მათ გადაწყვეტილება ნებაყოფლობით თუ სავალდებულო ვაქცინაციაზე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მიიღონ (12).

² SARS-CoV-2 ვირუსის ახალი შტამი B.1.1.529 (ომიკრონი) პირველად გამოვლინდა სამხრეთ აფრიკაში 8 ნოემბერს აღებულ ნიმუშში, საერთაშორისო ანგარიშგება ჯანმო-ში მოხდა 24 ნოემბერს, ხოლო 26 ნოემბერს მიენიჭა ვარიანტის სტატუსი (VOC)

მიგნებები

მანდატორული ვაქცინაცია

მიმოხილულ ქვეყანათა უმრავლესობაში სავალდებულო ვაქცინაციის შემოღება მოხდა ეტაპობრივად, როდესაც წინმსწრები ინტერვენციების შემდეგ ვერ მოხდა ვაქცინაციის შემდგომი გაუმჯობესება.

მანდატორული ვაქცინაცია ეხება კონკრეტულ ჯგუფებს და გულისხმობს ვაქცინაციის სრულ ჩატარებას მოთხოვნილი თარიღისთვის. რამდენიმე შემთხვევაში, ინტერვენციის გამოცხადებიდან სავალდებულო პირველი და სავალდებულო მეორე ვაქცინაციის ვადები ცხადდებოდა ეტაპობრივად და მხოლოდ საბოლოო ვადების ამოწურვის შემდეგ დგებოდა განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობა.

ყველაზე ხშირად გვხვდება ვაქცინაციის მანდატი ჯანდაცვისა (ახალი ზელანდია, იტალია, საფრანგეთი, აზერბაიჯანი) და სოციალური სექტორის მუშაკებისთვის (გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი) და საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლები) მომუშავე პერსონალისთვის (უკრაინა, ახალი ზელანდია) (12–18). ჯანდაცვის და სოციალურ სექტორში შედის სამედიცინო და ასევე ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი.

რიგ ქვეყნებს შემოღებული აქვთ საჯარო მოხელეების მანდატორული ვაქცინაცია - კანადა, საუდის არაბეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, კოსტა რიკა, ავსტრალია (14–19).

რას გულისხმობს მანდატორული ვაქცინაცია. ინტერვენცია ვაქცინაციის ჩატარებლობის შემთხვევაში სხვადასხვა ეტაპობრივი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს: 1) პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა; 2) თუ ეს შეუძლებელია, ანაზღაურებადი და შემდეგ უხელფასო შვებულებაში გაშვება გარკვეული დროით (20 დღიდან - 1 წლამდე პერიოდით); და 3) სამსახურიდან დროებით გათავისუფლება საბუთის წარდგენამდე. სამსახურიდან გაშვება, როგორც უკიდურესი ზომა გამოიყენება მხოლოდ საუდის არაბეთში და უკრაინაში (13,14,19,20). ეს უკანასკნელი განიხილება როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების შემზღვევადი ზომა და არ არის მხარდაჭერილი სხვა ქვეყნების მიერ.

მტკიცებულებები. უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხერხდა იმ მტკიცებულებების ამსახველი დოკუმენტის მოძიება, რომელზე დაყრდნობითაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება მანდატორიზმის შესახებ - არ არის ნაპოვნი რა კონკრეტულ სტატისტიკას და კვლევებს დაეფუძნა აღნიშნული გადაწყვეტილება. ორ ქვეყანისთვის (იტალია, საბერძნეთი) მოძიებულ იქნა კვლევები, რომელიც წინ უსწრებდა ინტერვენციის შემოღებას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნა გადაწყვეტილების მიღებისთვის;

იტალიაში გამოქვეყნებული სტატია (20), რომელიც ცალსახად მხარს უჭერს სამედიცინო პერსონალის ვაქცინაციის მანდატორიზმს, მის სავალდებულობას ამყარებს საზოგადოების, მ.შ პაციენტების, როგორც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის უსაფრთხოებაზე. თუმცა, სტატიის ავტორებიც ბჭობენ იტალიაში არსებულ მკურნალობის არჩევანის თავისუფლების უფლებაზე, რომელსაც სწორედ მანდატორული ვაქცინაცია უპირისპირდება.

საბერძნეთში, 2020 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საბერძნეთის მოქალაქეთა უმრავლესობა ემხრობა მანდატორულ ვაქცინაციას (გამოკითხულთა 74%) და აპირებენ აცრას (62%) (21). ასეთი მოსაზრებები, ძირითადად გამოწვეული იყო ჯანდაცვის სექტორის/ორგანოების მაღალი ნდობითა და პრევენციული სერვისების გამოყენების მაღალი

დონით. მკვლევარები მიიჩნევენ რომ მსგავსი გადანაწილება (74% და 62%) მიუთითებს ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლების მიერ ვაქცინების სარგებელსა და რისკებზე დამატებითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მესიჯების გავრცელების საჭიროებაზე.

გაერთიანებულ სამეფოში სავალდებულო ვაქცინაცია შემოღებულია ბანაზე მოვლაში ჩართული პერსონალისთვის. 2022 წლის აპრილიდან იგეგმება სავალდებულო რეგულაციის შემოტანა ჯანდაცვის მთელი სექტორისთვის. სამედიცინო ასოციაციის რეკომენდაციით რეგულაციის შემოტანამდე უნდა ჩატარდეს გავლენის შემსწავლელი კვლევა, რათა განისაზღვროს პერსონალის რა რაოდენობამ შეიძლება დატოვოს სამსახური აუცრელობის გამო (22).

გერმანიაში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მანდატორული ვაქცინაციის შემოღებას 2022 წლის თებერვალი/მარტიდან (23).

შემოღების საფუძვლები. განხილული ქვეყნების უმრავლესობაში ინტერვენციის შემოღება მოხდა ვაქცინაციით უფრო მაღალ მოცვაზე (ინტერვენციის შემოღების დღის მონაცემებით) ვიდრე საქართველოშია, გარდა ყაზახეთისა და საუდის არაბეთისა. მანდატორული ვაქცინაციის შემოღების საჭიროების მიზეზად სახელდება დამძიმებული ეპიდსიტუაცია (აზერბაიჯანი) და ე.წ დელტა შტამის გავრცელება (ყაზახეთი, აშშ) (12, 25,26) და ვაქცინაციით მოცვის მაქსიმალური მაჩვენებლის მიღწევა (ახალი ზელანდია, საბერძნეთი) (15,16).

წინმსწრები ინტერვენციები. რიგ ქვეყნებში, მანდატორული ვაქცინაცია არ ყოფილა პირველი ინტერვენცია იმუნიზაციის მოცვის გასაზრდელად, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა მიიღეს სხვადასხვა სახის ზომები აცრის მანდატორიზმის გადაწყვეტილების მიღებამდე (წამახალისებელი პროგრამები და მობილური ვაქცინაციის ჯგუფები აშშ-ში თანხისა და მობილური ინტერნეტის შეთავაზება ახალგაზრდებისთვის საბერძნეთში, მწვანე ბარათი უკრაინაში და სხვა (16, 18, 25).

უმრავლეს შემთხვევაში სავალდებულო ვაქცინაციის შემოღება აქტიურად დაიწყო 2021 შემოდგომაზე, თუმცა არიან ქვეყნები, რომლებმაც ზაფხულიდან შემოიღეს აღნიშნული რეგულაცია (ყაზახეთი, საბერძნეთი) (25,26). იტალიაში მანდატორული ვაქცინაციის მოთხოვნა მარტის თვიდან დაიწყო და ეტაპობრივად მოიცვა ყველა სექტორი (*მწვანე ბარათის ინტერვენციის ჩართვით*) (27).

შედეგები. უმეტეს შემთხვევებში, ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია რეგულაციის შემოღების შემდგომ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიზეზი კი, რიგ შემთხვევებში, ინტერვენციის შემოდგომაზე ძალაში შესვლაა, რაც ნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით შესწავლილ ქვეყნებში არ ამოქმედებულა ან ახლად ამოქმედებულია სავალდებულო ვაქცინაციის რეგულაცია. (მაგ. ახალი ზელანდია და კანადა ოქტომბრიდან, უკრაინა - ნოემბრიდან)(13–15). რაც შეეხება იტალიას, 2021 წლის მარტში ვაქცინაცია სავალდებულო გახდა სამედიცინო პერსონალისთვის,(27) რასაც მოჰყვა დღიური ვაქცინაციის რაოდენობის აქტიური ზრდა (9), თუმცა რთულია ცალსახად ინტერვენციისა და შედეგის დაკავშირება, ვინაიდან ინტერვენცია ეხებოდა მხოლოდ მომუშავეთა ერთ ჯგუფს, რომელთა მოცვის მაჩვენებლები უცნობია.

შესწავლილ ქვეყნებში მანდატორული ვაქცინაციის რამდენიმე უარყოფითი შედეგი გამოიკვეთა. იყო პროტესტი ხალხის მხრიდან, რომელიც ასევე ეხებოდა მწვანე საშვებს (საფრანგეთი, იტალია) და სასამართლო პროცესების წამოწყება შრომის უფლებების დარღვევის გამო (კანადა). საფრანგეთში, სამედიცინო პერსონალის 1-2% მზად არის დათმოს სამუშაო ადგილები, მანდატორული ვაქცინაციის რეგულაციის დაუმორჩილებლობის გამო. (28). საფრანგეთის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დაფიქსირდა გეგმიური

ქირურგიული ჩარევების გაუქმების/გადავადების შემთხვევები, რაც განპირობებული იყო პერსონალის ნაკლებობით (აუცრელობის გამო დროებითი გათავისუფლებით)(29).

მწვანე საშვი

რას მოითხოვს მწვანე საშვი. ომიკრონის შტამის გავრცელებამდე ქვეყნების უმრავლესობა მწვანე სტატუსის მინიჭებისთვის 3G მიდგომას³ იყენებდნენ, რაც გულისხმობს რომ ფიზიკური პირი მწვანე საშვის სარგებლობისთვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებიდან სულ მცირე ერთს:

- *ვაქცინაცირებული* ერთი ან ორი დოზით და ვაქცინაციიდან 14 დღის გასვლის შემდეგ (28 დღე ჯონსონ და ჯონსონის ვაქცინაციის შემთხვევაში) ან
- *უარყოფითი პჯრ ტესტირების* სტატუსი ვალიდური 24-72 სთ განმავლობაში, ან *უარყოფითი ანტიგენის ტესტი* 24-48 სთ-ის განმავლობაში ან
- *გადატანილი ინფექციის შემდგომ პერიოდი* 6 თვის განმავლობაში.

თუმცა შევხვდით უფრო მკაცრ მიდგომებსაც. მაგალითად, აშშ-ს რამდენიმე შტატში მწვანე საშვი მხოლოდ ვაქცინაციის ან ტესტირების სტატუსს ეყრდნობა; მოტლანდიის რეგულაციის მიხედვით კი მწვანე სტატუსის მხოლოდ სრულად ვაქცინაციის შემდეგ მიენიჭება (30); მიმდინარე წლის ოქტომბრისთვის დასაწყისში ისრაელმა მიიღო გადაწყვეტილება მწვანე სტატუსი გააქტიურდეს მხოლოდ ვაქცინის ბუსტერ დოზის მიღების შემთხვევაში (31).

ომიკრონ შტამის გავრცელებასთან დაკავშირებული ცვლილებები მოცემულია ცალკე სექციაში, რაც ასევე გამკაცრებას გულისხმობს, როგორცაა 3G-დან 2G-ზე გადასვლა.

მწვანე საშვი ხელმისაწვდომია როგორც მობილურ აპლიკაციებში, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია უნიკალურ QR კოდზე წვდომა, ასევე, ქალაქდმატარებელი ფორმითაც. ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ორივე არსებული ფორმატი.

ვადები. მწვანე საშვის მობილური აპლიკაციების შემოღება და დანერგვა ბევრ ქვეყანაში დაიწყო 2021 წლის პირველ ნახევარში, თუმცა ზოგიერთი სერვისებისთვის სავალდებულო რეჟიმი უმეტესად დაწესდა 2021 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. რეგულაცია ძალაში შევიდა ოფიციალური გამოცხადებიდან საშუალოდ ორი კვირიდან (საფრანგეთი, გერმანია) ორი თვემდე ვადაში (შვეიცარია) (32).

გარცელების სფერო. მწვანე საშვის სავალდებულო გამოყენების არეალი, ძირითადად, მოიცავს გასართობ, მასიური თავყრილობების ადგილებს, როგორცაა რესტორნები, ბარები და მსგავსი კვების დაწესებულებები, ღამის კლუბები, ფესტივალები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, სპორტული დარბაზები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კონფერენციები, გამოფენები, სილამაზის სალონები, ესთეტიკის ცენტრები და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში მწვანე საშვი სავალდებულოა სასტუმროში დაყოვნების შემთხვევაშიც. აღნიშნული პოლიტიკა დანერგილია გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ჩინეთის ზოგიერთ პროვინციაში და აზერბაიჯანში (33–37). ისრაელში მწვანე საშვი, ასევე, სავალდებულოა სალოცავ დაწესებულებებში (38), საფრანგეთში, გერმანიაში და ჩინეთის ზოგიერთ პროვინციაში დამატებით - სამედიცინო და ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში, გარდა გადაუდებელი დახმარების განყოფილებებისა (33,35,36), ხოლო

³ 3G ეფუძნება გერმანულ ტერმინებს *geimpft* (ავრილი), *getestet* (ტესტირებული) და *genesen* (გამოჯანმრთელებული); 2G - ვაქცინირებული ან გამოჯანმრთელებული

ამერიკის შეერთებული შტატების ჰავაის შტატში მწვანე საშვი სავალდებულოა უნივერსიტეტებში (39). ამ მხრივ ყველაზე მკაცრი რეგულაცია დააწესა იტალიამ, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერ კერძო თუ საჯარო სამსახურში გამოცხადებისთვის საჭიროა მწვანე საშვის ქონა (40).

ისრაელში მწვანე საშვი ვრცელდება სერვისის მომხმარებლებზე, ხოლო დასაქმებულების მწვანე სტატუსის მოთხოვნა არის დამსაქმებლის პრეროგატივა.

მნიშვნელოვანია, რომ შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენება (მაგ. ნიღბების გამოყენება დახურულ სივრცეში) კვლავ გრძელდება მწვანე საშვის გამოყენების არეალებში (ისრაელი).

გამონაკლისები. სავალდებულო მწვანე საშვის რეგულაცია თავის მხრივ მოიცავს გარკვეულ გამონაკლისებს, რომლებიც უზშირესად ეხება ასაკობრივ შეზღუდვებსა და სამედიცინო მიზეზით ვაქცინაციის შეუძლებლობის შემთხვევებს. თუმცა, გამონაკლისები შეიძლება, ასევე, ეხებოდეს გასართობი დაწესებულებების მეპატრონეებს, მათში მომუშავე მოხალისეებს (30), პროტესტის მონაწილეებს (41). ასაკობრივი გამონაკლისები ეხება იმ ასაკობრივ ჯგუფებს, რომლებშიც ვაქცინაცია ჯერჯერობით არაა დაშვებული, ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული ასაკი არის 12 წელს ქვევით, მაგალითად ისრაელსა და იტალიაში (40,42), ხოლო ზოგიერთში - <18, მაგალითად შოტლანდიასა და უელსში (30,41). მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში ასაკობრივი ვაქცინაციის ჩატარება დაშვებულია 12 წელს მიღწეულ და უფროს მოსახლეობაში, მწვანე საშვის გამოყენება ტესტირების საფუძველზე მაინც სავალდებულოა 3 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის (42).

შემოდების საფუძვლები. სავალდებულო მწვანე საშვის რეგულაციის შემოდების, როგორც პანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდის, ძირითადი მიზნებიდან ქვეყნები გამოყოფენ ოთხ მთავარ საკითხს:

- შემოდგომისა და ზამთრის მოახლოებასთან და სეზონური გრიპის შემთხვევების სავარაუდო მატებასთან ერთად, COVID-19 ვირუსის გადაცემის რისკების შემცირება (30,33,39,43);
- მძიმე დაავადების და სიკვდილიანობის რისკების, შესაბამისად ჯანდაცვის სექტორზე სამომავლო დატვირთვის შემცირება (30,44,45);
- მაღალი რისკის შემცველი გარემოს ფუნქციონირების შენარჩუნება და მკაცრი შეზღუდვებისა და დაწესებულებების დროებით დახურვის თავიდან აცილება (30,41,46);
- ვაქცინაციით მოცვის გაზრდა (30,41,47-50).

წინმსწრები ინტერვენციები. მწვანე საშვის რეგულაციის დაწესებას ქვეყნების უმრავლესობაში წინ უსწრებდა საბაზისო ზომების დანერგვა, როგორცაა, პირბადის ტარება, ხელის ჰიგიენა, დისტანციის დაცვა, დახურული სივრცეების ვენტილაცია, საკვებ დაწესებულებებში მისვლისას საკონტაქტო ინფორმაციის დატოვება და საერთაშორისო მგზავრობისას ტესტირება და კარანტინი. ხშირ შემთხვევაში სავალდებულო მწვანე საშვის დანერგვა განხორციელდა ეტაპობრივად, დაიწყო მასიური თავშეყრის ადგილებიდან და გაგრძელდა უფრო მცირე თავშეყრის ადგილებით და სპეციფიკურ ჯგუფებში გავრცელებით.

მტკიცებულებები. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყნის შემთხვევაში ვერ მოხერხდა ახალ რეგულაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მტკიცებულებების ამსახველი წინმსწრები დოკუმენტების მოძიება, შოტლანდიის შემთხვევაში მოძიებული იქნა მთავრობის მიერ შემუშავებული მრავლისმომცველი მტკიცებულებების დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა

სავალდებულო მწვანე საშვის რეგულაციის შემოღებამდე (51). დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის შემთხვევაში მოძიებული იქნა სტატია, რომელიც მოიცავს აღნიშნულ ორ ქვეყანაში თვითგამორკვევის თეორიის გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგებს ადგილობრივი მწვანე საშვის არასასურველ შედეგებთან დაკავშირებით. კვლევის ჩატარებისას ისრაელში უკვე დანერგილი იყო მწვანე საშვებთან დაკავშირებული რეგულაცია, დიდი ბრიტანეთში კი არა (52).

რეგულაციის აღსრულება. შემოღებული რეგულაციის აღსრულების გადამოწმება, ქვეყნების უმრავლესობაში ევალება პოლიციას, თუმცა, მიდგომები სხვადასხვაგვარია. მაგალითად შვეიცარიაში რესურსების ნაკლებობის გამო პოლიცია აღსრულებაში ერთვება მხოლოდ დაწესებულების მხრიდან დახმარების თხოვნის შემთხვევაში და აღსრულების ზედამხედველობა ევალებათ ოლქებს (53). ისრაელში პოლიცია უფრო მეტად ამოწმებს თავად დაწესებულებებს, და არა მოქალაქეებს, ხოლო შოტლანდიაში დაწესებულებებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ეწვევიან შესაბამისი ოფიცრები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ერთვებიან აღსრულების პროცესებშიც (54).

ზოგიერთ ქვეყანაში აღსრულების მექანიზმები აღმოჩნდა მეტად არაეფექტური, კერძოდ კი უკრაინაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში მწვავე პრობლემად იქცა მწვანე საშვების გაყალბების ძალიან მაღალი მაჩვენებლები (37,55,56).

შედეგები. რეგულაციის შემოღების შემდგომ ზოგიერთ ქვეყანაში გამოიხატა გარკვეული დადებითი შედეგები, კერძოდ კი ვაქცინაციის მოცვის მაჩვენებლის მატება (ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია) (32,52,57,58), დადასტურებული შემთხვევების კლება (ისრაელი) (59), ვაქცინაციაზე ვიზიტის დაჯავშნის მკვეთრი ზრდა (იტალია, საფრანგეთი) (60,61), აპლიკაციის ჩამოტვირთვის რეკორდული მაჩვენებლები (იტალია) (57). ამავდროულად, ვაქცინაციის პროცესები დაჩქარდა იმ ადამიანთა ჯგუფში, რომლებიც ისედაც მოტივირებულნი იყვნენ ვაქცინაციასთან დაკავშირებით. ასევე, შეიმჩნეოდა ასაკ-სპეციფიკური მოცვის მაჩვენებლის ზრდა რეგულაციის გავრცელების სფეროების მიხედვით (ახალგაზრდა - გასართობი ადგილები, შუა ასაკი - სამასპინძლო ბიზნესი) (32).

შოტლანდიაში, სადაც მწვანე საშვი შემოღებულ იქნა საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებზე (სრული მოსახლეობის 75% პირველი დოზით მოცვა), გამოცხადების შემდეგ მკვეთრად მოიმატა პირველი დოზით ყოველდღიურმა აცრებმა განსაკუთრებით ახალგაზრდა პოპულაციაში (51).

აღსანიშნავია, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტმა შეაფასა მწვანე საშვის ეფექტურობა 6 ქვეყნის მაგალითზე (დანია, ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია), რომელთა მონაცემები შედარდა 20 საკონტროლო ქვეყნის მონაცემებს სინთეზური კონტროლის მოდელის გამოყენებით. კვლევის შედეგად შეფასდა, თუ რა მოხდებოდა პრაქტიკულად იდენტურ სიტუაციებში, თუ მწვანე საშვის რეგულაცია არ იქნებოდა შემოღებული. კვლევაზე დაყრდნობით მწვანე საშვის რეგულაციის შემოღებას პოზიტიური გავლენა აქვს ვაქცინაციის მოცვაზე. მოცვის ზრდა, ხშირ შემთხვევაში, დაფიქსირებულია გამოცხადებიდან რეგულაციის ძალაში შესვლამდე (საშუალოდ 20 დღე) და რეგულაციის შემოღებიდან საშუალოდ 40 დღის განმავლობაში. მოცვის ზრდა უფრო მეტად საგრძნობია დაბალი საწყისი მოცვის შემთხვევაში. ახალმა რეგულაციის შემოღებამ სხვადასხვა ქვეყანაში მოცვა გაზარდა <20 და 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, მაშინ როდესაც რეგულაცია გავრცელდა ღამის კლუბებსა და დიდი ღონისძიებებზე. ამავდროულად, რეგულაციის მთლიან სამასპინძლო სექტორზე გავრცელების შემთხვევაში მოცვის ზრდა, ასევე, აღინიშნა 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც (32).

სხვადასხვა ქვეყნის ინფორმაციის განხილვისას აღმოჩნდა, რომ რეგულაციის დანერგვამ მოიტანა გარკვეული უარყოფითი შედეგებიც. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქვეყანაში

მკვეთრად მოიმატა მწვანე საშვების გაყალბების ფაქტებმა. გაყალბება ხდება როგორც მომხმარებლების მიერ (უელსი, იტალია, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უკრაინა) (28,37,41,55,56), ასევე, ვაქცინაციის სერვისის მიმწოდებლების მიერ (საბერძნეთი, ყაზახეთი, უკრაინა) (55,56); უკრაინაში ყალბი მწვანე საშვები ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, უცხოელებისთვისაც (55). უკრაინასა და ყაზახეთში გაყალბების შემთხვევები აღინიშნება უშუალოდ ექიმებთან გარიგების საფუძველზეც, რის შემდგომაც, რეალურად არავაქცინირებული პირები ცენტრალურ სისტემაში ხვდებიან, როგორც მწვანე საშვების მფლობელები (55,56,62).

მრავალ ქვეყანაში რეგულაციის შემოღებას მოჰყვა საპროტესტო აქციები (ისრაელი, იტალია, საფრანგეთი) (31,58,60), ხოლო დანიის მოქალაქეებმა შეადგინეს პეტიცია სავალდებულო საშვების წინააღმდეგ (63). იტალიაში გარკვეული პერიოდი აღინიშნებოდა ვაქცინაციის პირველ დოზაზე რეგისტრაციის კლება და ტესტირებაზე მოთხოვნის მკვეთრი მატება (57). ჩინეთის მოსახლეობამ რეგულაციის შემოღების გამო დაიწყო მთავრობის მიმმე კრიტიკა (64), ხოლო ყაზახეთსა და შოტლანდიაში შეინიშნებოდა უკმაყოფილება მწვანე საშვის გადამოწმების გამო გაჩენილ რიგებთან დაკავშირებით, ასევე, მწვანე საშვის მოთხოვნის შემთხვევაში დაფიქსირდა მომხმარებლების დაკარგვის ფაქტებიც (65–67).

აღსანიშნავია, რომ რეგულაციის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმა მერყეობს 135 ევროდან 10,000 ევრომდე, როგორც მოქალაქეების, ასევე, იურიდიული პირების შემთხვევაში.

შოტლანდიის მიერ რეგულაციის შემოღებამდე შემუშავებულ მტკიცებულებების დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი არსებული ბიზნესებისთვის რა დამატებითი ეკონომიკური ხარჯები შეიძლება ახლდეს ახალი რეგულაციის დანერგვას (51). კერძოდ:

- სტატუსის შესამოწმებლად ახალი თანამშრომლების აყვანის საჭიროება;
- პროცესის ავტომატიზაციისთვის დამატებითი ტექნიკური ინვენტარის შეძენა;
- უკვე გაყიდული ბილეთების გაუქმება და ანაზღაურება;
- გრძელი რიგების გამო არსებული უწყესრიგობის აღმოსაფხვრელად დამატებითი თანამშრომლების აყვანა (სპორტულ ღონისძიებებზე);
- კლიენტების დაკარგვა, თუ ისინი გადაწყვეტენ ისეთ ადგილას წასვლას, სადაც აღნიშნული რეგულაცია არ მოქმედებს.

აღნიშნული ხარჯები განსხვავებული იქნება ბიზნესის სპეციფიკიდან და მოვალეობების გადანაწილების შესაძლებლობიდან გამომდინარე. ხარჯები, ასევე დამოკიდებული იქნება დაწესებულების მიერ რეგულაციის აღსრულების დონეზეც, ვინაიდან მწვანე საშვის სტატუსის გადამოწმების ვალდებულება, უხშირესად, აკისრია თავად დაწესებულებას.

შოტლანდიაში რეგულაციის შემოღებამდე გათვლების საფუძველზე ვარაუდობდნენ, რომ მწვანე საშვების რეგულაციის შემოღებასთან დაკავშირებული ეკონომიკური გავლენა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე დაწესებულებების მთლიანად დახურვა ან შემთხვევების მატების გამო მოქალაქეებისთვის ფართომასშტაბიანი შეზღუდვების გამოცხადება (51).

მაგალითისთვის, შოტლანდიის მთავრობის გათვლებით პირველი ჩაკეტვის დროს პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად დაეცა 2020 წლის აპრილში, კერძოდ კი, 77.0%-ით სასტუმრო და კვების სექტორში და 42.6%-ით ხელოვნების, კულტურისა და დასვენების სექტორში. 2021 წელს შემდგომი შეზღუდვების დაწესების შემდეგ კი სასტუმრო და კვების სერვისებზე გამომუშავება დაეცა 30.5%-ით. ეს მაჩვენებლები ხაზს უსვამს პოტენციურ

ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მკაცრი შეზღუდვებისა და დაწესებულებების დახურვის შედეგად (51).

შოტლანდიაში ახალი რეგულაციის შემოღების შემდეგ (18 ოქტომბერი) რეალური ეკონომიკური გავლენის ანალიზი არ არის ჩატარებული.

სხვადასხვა მკვლევართა აზრით სავალდებულო მწვანე საშვის რეგულაციის შემოღებამ შესაძლოა მოიტანოს შემდეგი გვერდითი ეფექტები (52):

- ვაქცინაციასთან დაკავშირებით ეჭვების გაღრმავება ნეგატიურად განწყობილ სეგმენტში;
- შესაძლოა საზიანო გავლენა ადამიანების ავტონომიაზე, მოტივაციასა და ვაქცინაციისთვის მზაობაზე. ზეწოლისა და კონტროლის ნაცვლად შესაძლოა უმჯობესი აღმოჩნდეს ავტონომიასთან დაკავშირებით მესიჯების გაჟღერება;
- საზოგადოების პოლარიზება;
- საზოგადოების მხრიდან პოლიციის ნდობის დონის დაცემა, კონტროლის პროცესებში ჩართვის გამო.

ევროკავშირის დიგიტალური COVID სერტიფიკატი. ევროკავშირმა 2021 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა დიგიტალური COVID სერტიფიკატი, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს და ვიზიტორებს ევროკავშირის მასშტაბით მობილობის საშუალებას აძლევს. სერტიფიკატი წარმოადგენს დასტურს, რომ პირი არის *ვაქცინირებული კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინით*, ან *აქვს ტესტით დადასტურებული უარყოფითი სტატუსი* ან *გადატანილი ინფექცია 6 თვის მანძილზე*. საქართველო ამ პლათფორმას 15 ნოემბრიდან შეუერთდა, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში არსებული კოვიდ სერტიფიკატი მისაღებია ევროკავშირის მასშტაბით მგზავრობისთვის (68).

ომიკრონთან დაკავშირებული ცვლილებები რეგულაციებში

ომიკრონის შტამის ქვეყნის შიგნით გავრცელების შესაზღუდად ქვეყნებმა სწრაფად მიიღეს გადაწყვეტილებები სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების მიმართულებით, თუმცა ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ მწვანე საშვთან ან მანდატორული ვაქცინაციის მიმართებით გატარებულ ცვლილებებს.

საბერძნეთმა ახალი ომიკრონ შტამის საწინააღმდეგოდ 60 წლის და ზემოთ მოსახლეობისთვის ვაქცინაცია მანდატორული გახადა, რომელიც ძალაში 16 იანვრიდან შედის (69).

საფრანგეთში 15 დეკემბრიდან 65 წლის ზემოთ მოსახლეობა მხოლოდ ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში ისარგებლებს მწვანე საშვის პირობებით და იგეგმება მწვანე საშვის 2G პირობებზე გადასვლა (70).

იტალიაში გამკაცრდა მწვანე საშვის მოთხოვნები. შემოვიდა ე.წ. „სუპერ მწვანე საში“, რომელიც 2G-ს ანალოგია და ვალიდურია მხოლოდ ვაქცინაციის ან გადატანილი კოვიდინფექციის შემთხვევაში და გამოიყენება დახურულ კვებით ობიექტებზე, ბარებში, ღამის კლუბებში, კინოთეატრებში, სპორტულ დარბაზებსა და სტადიონებზე. ბაზისური

მწვანე საშვი გამოიყენება სასტუმროებში, საქალაქთაშორისო და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, და დასაქმების ადგილებზე. ცვლილებები 6 დეკემბრიდან შედის ძალაში (71).

გერმანიის რამდენიმე ოლქში უკვე ამოქმედდა 2G და 2G+ საშვები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტესტირება არის დამატებითი და არა ალტერნატიული მეთოდი). ნიდერლანდები და ლატვია ასევე გეგმავენ მწვანე საშვის 2G პირობებზე გადასვლას. ლატვია 15 დეკემბრიდან ასევე გეგმავს 2G მწვანე საშვის ამოქმედებას დასაქმებული პირებისთვის, რომლებიც ფიზიკურად უნდა გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე(71,72). შვეიცარიამაც 30 ნოემბერს, მწვანე საშვის არეალის გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო (66).

ქვეყნის მაგალითები

ქვემოთ აღწერილია მანდატორული ვაქცინაციის და მწვანე საშვების დანერგვა რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.

იტალია

იტალიამ ვაქცინაციის მანდატი ვაქცინაციის დანერგვის ადრეულ ეტაპზე გამოაცხადა, როდესაც ადგილი ჰქონდა ეპიდ აფეთქებებს აუცრელ ჯანდაცვის პერსონალში ვაქცინის ხელმისაწვდომობის პირობებში. იტალიის პრემიერ მინისტრის 1 აპრილის განკარგულებით ვაქცინაცია სავალდებულო გახდა ყველა სამედიცინო პერსონალისთვის, ფარმაცევტების ჩათვლით. აუცრელობის შემთხვევაში დაწესდა პერსონალის გადაყვანა ისეთ პოზიციაზე, სადაც ინფექციის გავრცელების რისკი დაბალია, ან 1 წლამდე უხელფასო შვებულებაში გაშვება. მთავრობის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაცვა მაღალი დაინფიცირების რისკის გარემოში. მიმდინარე განკარგულებაში ასევე ასახულ იქნა დაცვის მექანიზმები ამცრელი პერსონალისთვის. ეს უკანასკნელი იყო ჯანდაცვის სექტორის მოთხოვნა მას შემდეგ, რაც სიცილიაში ვაქცინაციის შემდეგ გარდაცვლილი პირის გამო ამცრელი პერსონალი პასუხისმგებამი გადასცეს (26). განკარგულების თარიღისთვის მთელი მოსახლეობის 5,41% იყო სრულად აცრილი (2), თუმცა უცნობია სამედიცინო პერსონალის რა წილი იყო აცრილი. სექტემბრის თვეში ჯანდაცვის სექტორში მანდატორული ვაქცინაციის ამოქმედების შემდეგ დაახლოებით 1,500 ექიმი (ექიმების 0.3%) კვლავ აუცრელი რჩებოდა და მათგან დაახლოებით 700 ექიმს დროებით საქმიანობა შეუჩერდა.

იტალიაში „certificazione verde“ (მწვანე საშვი) 2021 წლის 6 აგვისტოდან გამოიყენება და ვრცელდება მუზეუმებსა და გამოფენებზე, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებზე, თემატურ პარკებში, სპასა და დახურული სივრცის მქონე კვების ობიექტებში, ხოლო 1 სექტემბრიდან საზღვაო მოგზაურობის შემთხვევაშიც (28).

აღსანიშნავია, რომ იტალიაში დაფიქსირდა გაყალბებული მწვანე საშვები, რომელთა შექმნა შესაძლებელი იყო Telegram-ის დაშიფრული შეტყობინებების სერვისის მეშვეობით. ყალბი სერთიფიკატები QR კოდებითა და ვაქცინის სერიის ნომრებით იყიდებოდა 110-500 ევროდ. იტალიის პოლიცია აცხადებს, რომ თაღლითური ონლაინ გაყიდვები შეჩერებული იქნა ივლისსა და აგვისტოში (28).

15 ოქტომბრიდან იტალიამ კიდევ უფრო გაამკაცრა რეგულაციები და ვაქცინაცია სავალდებულო გახდა ყველა დასაქმებული პირისთვის, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრ პოლიტიკას წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ეს ცვლილება

საკომუნიკაციოდ კვლავ მწვანე საშვის კონცეფციის ფარგლებში ხდება, ახალი რეგულაციის შესაბამისად აუცრელი დასაქმებული პირები შეიძლება გაუმზან უხელფასო შვებულებაში (არა გათავისუფლება), ხოლო დადგენილების უგულველყოფის შემთხვევაში დაჯარიმდებიან როგორც დამსაქმებლები (400-1000 ევრო), ასევე დასაქმებულები (600 – 1500 ევრო). ამავდროულად, ტესტირება გახდა ფასიანი და სახელმწიფო ტესტს ფარავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირს ვაქცინაცია არ შეუძლია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზებიდან გამომდინარე (28).

ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით 9 ოქტომბერს 10 000-მა ადამიანმა გამართა საპროტესტო აქცია რომში, იყო პრემიერის ოფისში შეჭრის მცდელობებიც, თუმცა, მას შემდეგ საპროტესტო აქციები შენელდა და აღნიშნული რეგულაციის წინააღმდეგ სამართლებრივი დავა ჯერ-ჯერობით არ წარმოშობილა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევაზე დაყრდნობით იტალიაში რეგულაციის დანერგვიდან 30 დღის შემდეგ დღიური დოზები დაახლოებით 1500 დოზით აღემატებოდა სინთეზურ საკონტროლო ჯგუფს, რაც ადასტურებს დადებით კავშირს მწვანე საშვებსა და ვაქცინის მიღებას შორის (32). ძლიერი ეფექტი გამოვლინდა 25-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში (რეგულაციის მოლოდინში და შემდგომაც), მაშინ როცა ხანდაზმულ ასაკობრივ ჯგუფებში ეფექტი ნაკლებია, თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ მათ ვაქცინაციისთვის ჰქონდათ უფრო ხანგრძლივი ვადა (32).

2021 წლის 6 აგვისტოდან (სავალდებულო მწვანე საშვის პირველად შემოღება) 15 ოქტომბრამდე (რეგულაციის გამკაცრება) ვაქცინაციის მოცვის მაჩვენებელმა 66%-დან 77%-მდე მოიმატა (9).

ბოლო ცვლილებებით შემოვიდა „სუპერ მწვანე საში“ უფრო გამკაცრებული პირობებით, ჯანდაცვის პერსონალი ვალდებულია აიცრას ბუსტერ დოზით, და განათლების, პოლიციის თანამშრომლებს და სამხედროებს განესაზღვრათ ვადა 15 დეკემბერი სავალდებულო აცრისთვის (71).

ისრაელი

ისრაელი წარმოადგენს ერთ-ერთ პიონერ ქვეყანას, რომელმაც სავალდებულო მწვანე საში დანერგა ქვეყანაში. რეგულაცია პირველად ძალაში შევიდა 2021 წლის თებერვალში, როდესაც მოცვის მაჩვენებელი შეადგენდა 43%-ს და გავრცელდა რეკრიაციულ და სამასპინძლო სერვისებზე. მწვანე საში ენიჭებათ როგორც სრულად აცრილ პირებს, ასევე, COVID-19 ინფექციისგან გამოჯანმრთელებულებს და ტესტირებაზე უარყოფითი პასუხის მქონეთ (74).

ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით ისრაელში გაიმართა მცირე პროტესტი, ასევე, გარკვეული დაზნეულობა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა საში და სახეზე იყო არათანაბარი აღსრულება სხვადასხვა ბიზნესების მიერ. თუმცადა, შემთხვევები მალევე მკვეთრად დაეცა, ხოლო ვაქცინაციის მოცვამ საგრძნობლად მოიმატა, რამაც განაპირობა ეკონომიკის მთლიანად გახსნა და მწვანე საშვის ვალდებულების შეჩერება 2021 წლის 1 ივნისს. გაურკვეველია, თუ რამდენად იყო ეს პროგრესი გამოწვეული მწვანე საშვის რეგულაციით.

სასკოლო ინფექციების გაზრდის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა მოქალაქეებს მოუწოდა ივნისის ბოლომდე ბავშვების აცრისკენ, ვინაიდან გამოყოფილი დოზების ვადა იწურებოდა 9 ივნისს. ჯანდაცვის პროვაიდერებმა განაცხადეს, რომ ამ პერიოდში 12-15 წლის ბავშვებში ვაქცინაციაზე რეგისტრაცია სამჯერ გაიზარდა, რაც სავარაუდოდ განპირობებული იყო

გაზრდილი ინფექციებითა და განცხადებით გადაუდებელი აუცილებლობისა და შემჭიდროვებული ვადების შესახებ (32).

ივლისის თვეში ინფექციის შემთხვევებმა მოიმატა დელტა შტამის გავრცელებასთან ერთად და 29 ივლისს კვლევ აღდგა სავალდებულო მწვანე საშვის რეგულაცია გაზრდილი მოქმედების არეალით (75).


ისრაელმა შემოიტანა მანდატორული ვაქცინაცია საქმიანობებში, თუმცა მის საკომუნიკაციოდ იყენებს მწვანე საშვის კონცეფციას. ეს უკანასკნელი გაფართოვდა დასაქმებულთათვის შემდეგ სფეროებში: ჯანდაცვის სექტორი, სოციალური სფერო (თავშესაფრები, ხანდაზმულთა საცხოვრისები, და ა.შ.), განათლება, გასართობი და რეკრიაციული სფერო. დასაქმებული, რომელიც არ არის უშუალო კონტაქტში პაციენტთან/კლიენტთან არ მოეთხოვება მწვანე საშვის ქონა, რასაც დამსაქმებელი განსაზღვრავს. ჯარიმა საშვის დარღვევისთვის ეკისრება იურიდიულ პირს და შეადგენს 1,550-3,100 აშშ დოლარის ექვივალენტს.

შემთხვევების კვლავ მატების გამო ისრაელის მთავრობამ მწვანე საშვის ვალდებულება, ასევე, დაუწესა 3 წლისა და უფროსი ასაკის ბავშვებსაც, თუმცა ვინაიდან აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ვაქცინაცია არაა დაშვებული, სახელმწიფო ფარავს ბავშვებში ტესტირებას, რათა მათაც შეძლონ იმ სერვისებით სარგებლობა, სადაც აუცილებელია მწვანე საშვის ქონა (76).

სურათი 2 გვიჩვენებს, რომ რეგულაციის განახლების შემდეგ (29 ივლისი) ადგილი ჰქონდა ყოველდღიური აცრების მკვეთრ ზრდას, რამაც მაქსიმუმს 40 დღის შემდეგ მიაღწია. ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევის თანახმად, ამ დროისთვის აცრების რა-ბა ისრაელში საკონტროლო ქვეყნებს 5,000 დოზით მილიონ მოსახლეზე აღემატებოდა (32).

2021 წლის ოქტომბრიდან ისრაელმა კიდევ უფრო გაამკაცრა მწვანე საშვის რეგულაცია და საშვის პირობად განსაზღვრა ვაქცინის ბუსტერ დოზა, რაც რეგულაციის ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ მიდგომას წარმოადგენს მსოფლიოში (31,42). სურათი 2 გვიჩვენებს, რომ ამ უკანასკნელმა რეგულაციამ მცირედ გაზარდა დღიური აცრების რა-ბა

სურათი 2. ისრაელი - დღიური აცრები 100 მოსახლეზე (7 დღის საშუალო)



- (1) გასართობი და კულტურული ღონისძიებები, კვების ობიექტები, ფიტნეს დარბაზები, სამლოცველოები;
- (2) რეგულაციების აღდგენა გაფართოებული არეალით;
- (3) იგივე პირობები მხოლოდ მესამე ბუსტერ დოზის შემთხვევაში.

კანადა

კანადამ ვაქცინაციის მანდატი ოფიციალურად 2021 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადა, როდესაც ქვეყანაში მოცვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალ ნიშნულზე იყო (76,88%). ამას წინ უსწრებდა

ავვისტოში გაცხადებული გეგმა რეგულაციის შემოტანაზე. რეგულაცია გავრცელდა ფედერალურ სამსახურებში დაკავებულ თანამშრომლებსა და ფედერალური საჰაერო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით მოსარგებლებზე. რეგულაცია ძალაში შევიდა 3 კვირის თავზე (30 ოქტომბერი) რომლიც შემდეგ ფედერალურ სამსახურებში დასაქმებული პირები ვალდებული არიან სრული ვაქცინაციის დასტური წარმოედგინონ, ხოლო აუცრელი პირი გაშვებული არიან უხელფასო შვებულებაში. პირველი დოზით აცრილები დროებით უხელფასო შვებულებაში ან დროებით დისტანციურ მუშაობაზე გადადიან, ვიდრე არ მიიღებენ მეორე დოზას. თანამშრომლებისთვის ტესტირება არ წარმოადგენს აცრის ალტერნატივას.

მგზავრებს 30 ნოემბრამდე უფლება მიეცათ ალტერნატიულად წარმოადგინონ 72 სთ-ის განმავლობაში ჩატარებული ტესტის უარყოფითი პასუხი, ხოლო 30 ნოემბრის შემდეგ მხოლოდ ვაქცინაციის დამადასტურებელი საბუთი.

როგორც კანადის პრემიერ მინისტრმა განაცხადა, აღნიშნული რეგულაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ზომია. კანადაში თითქმის 300 ათასი ფედერალური სამსახურის თანამშრომელია, ამასთან ერთად სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი დაწესებულების 955 ათასი მომუშავე, რაც კანადის სრულ განაკვეთზე მომუშავე პოპულაციის 8%-ს შეადგენს. პირველი ნოემბრიდან რეგულაციებს კიდევ ერთი დაემატა: კანადის სენატის ნებისმიერი ვიზიტორი ვალდებულია სრულად იყოს აცრილი. ეს ეხება სენატის თანამშრომლებს, ჟურნალისტებს და სხვა ვიზიტორებს.

ფედერალური თანამშრომლების უხელფასო შვებულებაში გაშვება პროტესტისა და სასამართლო პროცესების ინიცირების მიზეზი გახდა.

რაც შეეხება ინტერვენციის იმპლემენტაციას, კანადის საზოგადოებრივი სერვისების ალიანსმა გამოთქვა უკმაყოფილება დაგვიანებული გაფრთხილების თაობაზე. კანადის ეროვნული ავიანაზების საბჭომ კი მოიწონა გადაწყვეტილება, თუმცა ასევე გამოთქვა შემფოთება იმპლემენტაციისთვის არასაკმარის დროსთან დაკავშირებით.

ფედერალურ სამსახურებში დასაქმებული მოქალაქეების ვაქცინაციის მანდატი იქნება გადახედილი 6 თვეში ერთხელ, რათა მოხდეს მისი საჭიროების შეფასება (14).

უკრაინა

უკრაინა ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მოცვის მაჩვენებელი რჩება დაბალ ნიშნულზე. 13 სექტემბერს გამოაცხადდა მწვანე საშვების შემოღების შესახებ, რომელიც 20 სექტემბრიდან ძალაში შევიდა. ამ დროისთვის, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 12.0% იყო სრულად აცრილი. ახალი რეგულაციის შესაბამისად, თუ ყველა ვიზიტორი და დაწესებულების პერსონალის 80% წარმოადგენს მინიმუმ ნაწილობრივი ვაქცინაციის მტკიცებულებას, მაშინ ბიზნესებს, როგორცაა კინოთეატრები, სპორტული დარბაზები, თეატრები და საცურაო აუზები, უფლება ექნებათ იმუშაონ სოციალური დისტანცირების მოთხოვნების გარეშე. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე, მიეცემათ უფლება იმუშაონ სოციალური დისტანციის გარეშე, თუ ყველა თანამშრომელი სრულად იქნება აცრილი (69).

მწვანე საშვის შემოღებამ რამდენადმე გააქტიურა დღიური აცრების რა-ბა, თუმცა აღსანიშნავია, რომ უკრაინა წარმოადგენს იმ ქვეყნის მაგალითს, სადაც ადგილი ჰქონდა მწვანე საშვის გაყალბების ძალიან ხშირ შემთხვევებს. გაყალბება ხდება როგორც თავად მოსახლეობის მიერ, ასევე ექიმების მხრიდანაც. არის შემთხვევები, როდესაც მწვანე საშვის გაცემის მიზნით ცრუ ინფორმაცია მოქალაქის შესახებ ხვდება ცენტრალურ სისტემაში, რის შედეგადაც რეალურად აუცრელი პირები, რეგისტრირდებიან როგორც სრულად აცრილნი.


ამასთან ერთად, ცნობილია, რომ ყალბი საშვების შექმნა შეუძლიათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც (70).

მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში მოცვა შეადგენდა 13.44 % -ს. 4 ოქტომბერს, უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა იმ პროფესიების/ ორგანიზაციების სია, რომელთათვის სავალდებულოა COVID-19- ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია:

- ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოები და მათი ტერიტორიული ორგანოები;
- ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრაციები და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები;
- უმაღლესი, დიპლომისშემდგომი, პროფესიული უმაღლესი, პროფესიული, ზოგადი საშუალო, მათ შორის სპეციალური, სკოლამდელი, სკოლამდელი განათლების დაწესებულებები, სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და სამეცნიერო დაწესებულებები, განურჩევლად საკუთრების ტიპისა და ფორმისა.

უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საჯარო დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შექმნას.

სურათი 3. უკრაინა - ადმინისტრირებული დოზები 100 მოსახლეზე



- ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან ერთ თვეში. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აღმასრულებელი ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც ამ პერიოდში არ ჩაიტარებენ COVID-19- ის საწინააღმდეგო აცრას, სამსახურიდან გაათავისუფლებენ (23). გვიჩვენებს, რომ მანდატორული

მოთხოვნის ვადის მოახლოებასთან ერთად გაიზარდა დღიური აცრების რა-ბა.

11 ნოემბერს, გამოცხადებიდან 1 თვეში (19,42% მოცვა) უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრომ მანდატორულ ვაქცინაციას დაქვემდებარებული პროფესიების სიის გაფართოების წინადადება წამოაყენა. იგეგმება ნუსხაში სამედიცინო პერსონალისა და მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლების დამატება. 16 ნოემბერს პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ორი აცრის შემთხვევაში მოქალაქეებს მიეცემათ 33 ევროს ეკვივალენტი ჯილდო. აღნიშნული თარიღის შემდეგ, თვალსაჩინოდ მოიმატა დღიური აცრების რაოდენობამ (23).

შეჯამება

მანდატორული ვაქცინაცია და მწვანე საშვი წარმოადგენს ისეთ შემზღუდავ ან წამახალისებელ ზომებს, რომელსაც ქვეყნები მიმართავენ სხვა ინტერვენციების გატარების შემდეგ ვაქცინებზე კარგი ხელმისაწვდომობის პირობებში.

ქვეყნებში მანდატორული ვაქცინაციის და მწვანე საშვის შემოღებიდან მცირე დროის გასვლისა და სხვა თანმხლები ინტერვენციების გამო რთულია პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე დასკვნის გაკეთება ყველა მიმოხილული ქვეყნისთვის. შედეგების განხილვისას მნიშვნელოვანია ქვეყნის კონტექსტის, კერძოდ, ვაქცინაციით მოცვის, ვაქცინისადმი რეზისტენტობის, მთავრობისადმი ნდობის და ეპიდემიის ტრაექტორიის გათვალისწინება.

მანდატორული ვაქცინაცია, იგივე რაც მწვანე საშვი დასაქმებულებისთვის, მიმართულია კონკრეტულ ჯგუფებზე, სადაც ვაქცინაციით განპირობებული სარგებელი თვით ინდივიდისთვის მისი საქმიანობიდან გამომდინარე და გარემომყოფი პირებისთვის გადაწონის ვაქცინაციით გამოწვეულ რისკს. ასეთ ჯგუფებს წარმოადგენენ ჯანდაცვის, სოციალურ, განათლების სფეროში დასაქმებული პირები, რომელთაც უწევთ უშუალო შეხება სხვა, ხშირ შემთხვევაში მაღალი რისკის მქონე ადამიანებთან. მანდატორული ვაქცინაცია ცალკეულ ჯგუფებში ნაკლებად ახდენს გავლენას ქვეყნის მოცვის მაჩვენებლებზე. მსგავსი რეგულაციის შემოტანა ვაქცინისადმი მაღალი უნდობლობის პირობებში შეიძლება დაკავშირებული იყოს მძაფრ პროტესტთან, და, პოტენციურად, აცრის მოწინააღმდეგე პირების დასაქმებიდან თვითნებურ გადინებასთან ან იძულებით ჩამოშორებასთან.

კონკრეტულ ჯგუფებში ვაქცინისადმი ნდობის ამაღლება, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა სენსიტიზაცია (რამდენიმე თვის ვადის მიცემა გადაწყვეტილების მისაღებად, წინასწარი მკაფიო განმარტებები), ვაქცინაციის მაქსიმალური ხელშეწყობა სამუშაო ადგილებზე (მაგ. მობილური ბრიგადები) ამ ინტერვენციისთვის მნიშვნელოვანია წინმსწრები ნაბიჯებია.

მწვანე საშვი იმუნიზირებულ ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე ადამიანს აძლევს გადაადგილების და შეკრების თავისუფლებას და ხელს უწყობს ეკონომიკის, საგანმანათლებლო და კულტურის სფეროს აქტივობას. ქვეყნები ომიკრონ შტამის გავრცელებამდე ძირითადად 3G მიდგომას იყენებდნენ, რაც ეფუძნება ვაქცინაციის, ტესტირების ან გადატანილი ინფექციის სტატუსს განსაზღვრული დროით. მწვანე საშვი უპირატესად გამოიყენება „ფუფუნების“ სერვისების მომხმარებელთათვის, რაც არ ეწინააღმდეგება მოსახლეობის ჯანმრთელობის, კვების, საზოგადოებრივი სერვისებით სარგებლობის უფლებას. არცერთი ქვეყანა ამ ეტაპზე არ იყენებს მწვანე საშვის სავაჭრო ობიექტებში, მათ შორის დიდ სავაჭრო ცენტრებში შესასვლელად, თუმცა გასართობი ან კვების ობიექტები განთავსებული სავაჭრო ცენტრებში ხვდებიან მწვანე საშვის რეგულაციის ქვეშ. თუმცა არსებობს საკმაოდ მკაცრი რეგულაციები. მაგ. მიმოხილული ქვეყნებიდან კანადამ, ყველაზე ადრე შეზღუდა ქვეყნის შიგნით ფედერალური სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობა არავაქცინირებულ პირებში, ამჟამად კი გერმანია და იტალიაც ზღუდავს ქვეყნის შიგნით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას მწვანე საშვის გარეშე. ომიკრონთან დაკავშირებით ასევე იგეგმება შეზღუდვები არაესენციურ სავაჭრო ობიექტებზე მწვანე საშვის გარეშე.

მწვანე საშვის პირობებში ბიზნესს აქვს აქტივობის განახლების სურვილი, როდესაც არსებობს ეკონომიკური სტიმულები (აღადგინოს აქტივობა მაქსიმალური დატვირთვით) და სხვა ხელმშეწყობი ფაქტორები (ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებლები, ბევრი გამოჯანმრთელებული ადამიანი). მწვანე საშვის ამოქმედების პირობებში თანასწორობის უზრუნველყოფისთვის

მნიშვნელოვანია ფართო ხელმისაწვდომობა ვაქცინებთან და ტესტირების სერვისებთან. ტესტირების სერვისი დაფარულია სახელმწიფო ხარჯებით იმ ჯგუფებისთვის, რომელთა ვაქცინაცია იმუნიზაციის პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ან არსებობს დასაბუთებული სამედიცინო უკუჩვენება.

სხვადასხვა ქვეყანაში მწვანე საშვის გამოცხადებიდან მოკლე დროში დაფიქსირებულია დღიური მოცვის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა, რაც დიდი ალბათობით უშუალოდ რეგულაციის ეფექტით აიხსნება. აღსანიშნავია, რომ ზრდა უფრო საგრძნობია საწყისი დაბალი მოცვის მაჩვენებლების შემთხვევაში, მაღალი მოცვის მაჩვენებლებთან შედარებით.

მწვანე საშვის პოზიტიური გავლენა ვაქცინაციით მოცვაზე დასტურდება ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ 6 ქვეყანაში ჩატარებული კვლევით (32). კერძოდ:

- მოცვა იზრდება რეგულაციის გამოცხადებიდან მის ძალაში შესვლამდე საშუალოდ 20 დღის განმავლობაში და რეგულაციის შემოღებიდან საშუალოდ 40 დღის მანძილზე
- მოცვის ზრდა საგრძნობია საწყისი დაბალი მოცვის შემთხვევაში
- რეგულაციის ღამის კლუბებისა და დიდი ღონისძიებებზე (<1000 ადამიანი და მეტი) გავრცელების შემთხვევაში მოცვა იზრდება <20 და 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში
- რეგულაციის მთლიან სამასპინძლო სექტორზე გავრცელების შემთხვევაში აღინიშნება მოცვის ზრდა 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

მწვანე საშვის, ისევე როგორც მანდატორული ვაქცინაციის აღსრულება დამსაქმებელთა / იურიდიული პირების პასუხისმგებლობაა, ხოლო ჯარიმები ვრცელდება როგორც ინდივიდზე, ასევე დამსაქმებელზე/ იურიდიულ პირზე. აღსრულების ნაწილში

მწვანე საშვის გაყალბება აღწერილია ბევრი ქვეყნის მაგალითზე, თუმცა უპირატესად გვხვდება ქვეყნებში, სადაც ელექტრონული სისტემების დაცულობა პრობლემურია, გავრცელებულია კორუფცია, ადმინისტრაციული კონტროლი და ჯარიმების აღსრულება არ არის სათანადო დონეზე.

მწვანე საშვის გავლენა ეკონომიკაზე არ არის შეფასებული. შოტლანდიაში რეგულაციის შემოღებამდე ჩატარებული გათვლების მიხედვით მწვანე საშვების შემოღებასთან დაკავშირებული უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე დაწესებულებების მთლიანად დახურვით ან შემთხვევების მატების გამო მოქალაქეებისთვის ფართომასშტაბიანი შეზღუდვების გამოცხადებით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტები.

მანდატორული ვაქცინაცია და მწვანე საშვი, არ წარმოადგენს ვაქცინაციის გაზრდის ეფექტურ გზას გასაკუთრებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფის და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომლებიც ვაქცინაციით ყველაზე ცუდად არიან მოცული. ამ ჯგუფებისთვის საჭიროა სხვა მიზნობრივი ინტერვენციები.

